წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხარასკევი, 23 სექტემბერი

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 444 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 444

ელექტრო „რადიუმ" თეატრი
ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან:
ცეცხლიანი ეშმაკი
დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ მსახიობ ქალის ხოლოდნაიას მონაწილეობით.
სასხუმარო სურათი. **პრესსი როგორ გახდა ქაჩალი.** სასხუმარო სურათი.

ელექტრო „ამპირ" თეატრი
ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან
და სიმღერა დაუთავებელი დარჩა
დრამა ხუთ ნაწილად მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით
ქ რ ო ნ ი კ ა გ ო მ ო ნ ი უკანასკნელი მიმდინარე ამბავი.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრების და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი **ი. ჩარკვიანი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$— 2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

გეგია მ. მ. კოხრეიძე ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ვამზადებ მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. პილაძის. შესავალი გაზ. „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი
მარიამ ტ. გალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.
ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.
304—1—თვით.

ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.
 კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.
სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოათავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად.
298—4—12.

მსოფლიო ომი.

დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

21 ენკენისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ნოვოალექსანდროვსკის აღმოსავლეთ მიდამოებში, ზარბაზნების სროლის შემდეგ, გერმანელები წყება წყება გამოვიდნენ მავთულის ხლართებიდან, მაგრამ სროლით უკანვე გავაბრუნეთ თავის თხრილებისაკენ. მდინარე სერვეჩზე კრონკი-ოსტაშინის ბრძოლის ხაზზე ღამის 1 საათზე მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ზატუსაელი-ვოლია—სადოვსკაია-შელვოვის მიდამოებში ცხარე და მედგარი ბრძოლაა. ჩვენმა ჯარმა მოპირდაპირის სანგრების ნაწილი დაიჭირა. მტერი თავგანწირვით იბრძვის. მდ. ცენიუვკაზე და ზოლოტოი ლიპას მარჯვენა ნაპირის სიმაღლეზე მედგარი ბრძოლა არ სცხრება ცენიუკაზე მოპირდაპირემ დიდძალი მარქაფა ჯარი მოიშველია და შეგვიტია, მაგრამ დიდის ზარალით მოვიგერიეთ. თავგანწირული ბრძოლა გრძელდება. ამ მიდამოებში 19 ენკენისთვეს 100-ზე მეტი დავატყვევეთ, ხოლო 17, 18 და19 ენკენისთვეს კი 500, მათ შორის 8 აფიცერი.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა.

20 ენკენისთვე.

ლონდონი. საფრანგეთში მდგომ ინგლისის მთავარ-ბანაკის საღამოს ცნობა. 18 ენკენისთვეს ანგარას სამხრეთით ჩვენმა შუაგულის ჯარმა ბრძოლის ხაზზე ყველა სიმაგრეები აიღო, 3,000 იარდის მანძილზე ოკურლაბედან დაწყებული. მოპირდაპირის 5 საფრენი დავღუპეთ. ჩვენი ერთი საფრენი აღარ დაბრუნებულა.

პარიზი. საღამოს ოფიციალი ცნობა. სომას ჩრდილოეთით, მუშაყენის აღმოსავლეთისაკენ ხელის ყუმბარებით ბრძოლის შემდეგ წინ წავიწიეთ. ხელთ ვიგდეთ 40 ტყვე და 6 ტყვიისმფრქვეველი. ლეპინდე-ქალასიზის მახლობლად მოპირდაპირის რაზმი გავფანტეთ. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 50 მოკლული. უამინდობა ამფერხებს სამხედრო მოქმედებას სომას ბრძოლის ხაზზე.

კორფუ. ინგლისის მთავარ-ბანაკის ცნობა. გერმანეთ-ბულგარეთის ოფიც. ცნობით 13 ენკენისთვეს ყაიმაკჩალალანის იერიშის დროს ბულგარელებმა გაიმარჯვეს, ნამდვილად კი მათ აიღეს მხოლოდ რამდენიმე ჩვენი წინ წაწეული თხრილი, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. არც ისაა მართალი, ვითომც ბულგარელებს 2 ზარბაზანი წაერთმიოთ ჩვენთვის არც ერთი გემი და არც ერთი ტყვიის-მფრქვეველი მათ ხელში არ ჩავარდნიათ.

21 ენკენისთვე.

ლონდონი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ოფიციალი ცნობა. ღამე ანგარის სამხრეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. ოკურლაბეს აღმოსავლეთით ბრძოლის ხაზი გავასწორეთ და ოკურიდან მტერი გავდევნეთ. მოპირდაპირემ რეგინის თხრილები იერიშით დაგვატოვებინა. აქ მთელ დღე-ღამეს მედგარი ბრძოლა იყო. „ცეპელინებს" წუხელ თავდასხმის დროს მოუკლავთ 1 კაცი, 1 დედაკაცი დაუჭრიათ. თუმცა ბევრი ყუმბარები ჩამოჰყარეს, მაგრამ ძალიან დაზიანებულა მხოლოდ 4 სახლი.

დილიდანვე ძალიან წვიმს. სოფელ ოკურ ლაბესთან ძლიერი ბრძოლა იყო, გერმანელებმა რამდენიმე სახლში ფეხი მოიკიდეს. გედეკურის სამხრეთ-დასავლეთით და კურსელეტის ჩრდილოეთით და დასავლეთის ჩვენი მდგომარეობა გამოვაკეთეთ. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი და 63 ჯარის კაცი. გუშინ მტრის 2 საფრენი გავანადგურეთ. რამდენიმე საფრენი იძულებული ვიყავით ძირს დაშვებულიყო. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიციალი ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლა გრძელდება. ქ. გურგიუსთან (დიერდიო) და გარგიცთან ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიის მფრქვეველი, 11 აფიცერი და 500 ჯარისკაცი. სამხრეთის ასპარეზზე ჩვენი ჯარი დუნაიზე გადავიდა რუშჩუკსა და ტურტუკაის შუა. დობრუჯში მთელი ბრძოლის ხაზზე იერიშით მივდიოდით მტერზე. დობრუჯში მოპირდაპირის შუაგულის ჯარს და მარჯვენა ფრთას უკან დავახევინეთ.

პარიზი. რანკრუას ჩრდილოეთ ნაწილში, სომას ჩრდილოეთით ფიცხელი ბრძოლაა ზარბაზნებით. სენ პიერვაასტის ტყესთან გერმანელები უნაყოფოდ შეეცადენ წინ წამოწევას.

გუშინ კონდენეზ-ორტრისთან ფრანგმა მფრინავმა გერმანელების ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ტრანსულას სამხრეთით სერჟანტმა სოვაჟმა მტრის საფრენი გაანადგურა.

აღმოსავლეთის ჯარის შტაბის ცნობა: სტრუმას მარცხენა ნაპირას ბულგარელების ორი იერიში დიდის ზარალით მოვიგერიეთ. ყაიმაკჩალანოს ჩრდილოეთით ჩერნოვის ნაწილში, სერბიელები წინ იწევენ. გუშინ სერბიელებმა სტარკოვგმობას სიმაღლეზე პირველი თხრილები აიღეს. იმავე დღეს ხელთ იგდეს ბულგარელების ბატარეა.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიც. ცნობა. სურფიუს, გურგიეს და გარგიელის მთებში ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 300 ჯარის კაცი და ბევრი სამხედრო მოწყობილება. მდ. ალიუტის მარჯვენა ნაპირას 16 ენკენისთვეს კონტრ-იერიშები მივგაქვს მოპირდაპირეზე მთებში. ჟიუს ველში ობროჩისა და პეტროსენის მთების მიდამოში მტერიმედგრად გვიტევდა. აქ მოშხამული გაზიც იხმარა. იერიშები მოვიგერიეთ. ორშოვთანაც მოვიგერიეთ მტრის იერიში. დობრუჯის სამხრეთ ბრძოლის მთელ ხაზზე იერიშები მიგვაქვს მოპირდაპირეზე, რომელიც თავგანწირვით იბრძვის.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანელების ჯარს ტრანსილვანიაში რუმინიის წინააღმდეგ გენ. ფალკენჰაიმი გაუწევს მთავარ სარდლობას.

——

ერთ ცეპელინის უფროსს უნგრულ გაზეთის თანამშრომელისთვის შეუჩივლია: აუტანელია ჩვენი მდგომარეობა, ყოველ წამს მოველით ცეპელინის ბუშტში მყოფ მოშხამულ გაზის აფეთქებას, და ცეპელინები არც ისე საშიშრონი არიან მტრისათვის, როგორც ამას გერმანული გაზეთები სწერენ და ხშირად ვხდებით მტრის ზარბაზნების ანაწერებიო.

——

ცეპელინებზე მხოლოდ მოხალისეებს ნიშნავენ მსახურებათ და ისიც საუკეთესო ჯან-ღონის მქონე ახალგაზდებს.

——

გერმანელები და ბულგარელები დობრუჯაში მაკენზენის ცნობილ „ფალანგებით" მიდიოდნენ იერიშებზე და მძიმე არტილერია დიდ დახმარებას უწევდა მათ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, რუმინულ გაზეთების ცნობით გერმანელ-ბულგარელები დიდად დაზარალებულან.

——

რეიხსტაგში კანცლერმა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა დაახასიათა და ახალი არაფერი უთქვამს, მხოლოდ რუსეთის შესახებ უფრო თავდაჭერით ლაპარაკობდა.

——

ერთი ამერიკის გაზეთის კორესპონდენტმა, რომელმაც მთელი გერმანია დაიარა ამბობს, გერმანელებს სწამთ, რომ ზავი არ დაიგვიანებს. დღეს გერმანიაში კორესპონდენტის სიტყვით, გამეფებულია ლოზუნგი: „რაც შეიძლება გავმაგრდეთ".

——

„ტაიმსის" ცნობით გალიჩთან გერმანელებს დიდძალი ჯარი შეუყრიათ, აქვე მოუზიდნიათ მრავალი ზარბაზნები და ტყვიის მფრქვევლები.

——

რეინის ქალაქების გარნიზონები გერმანელებს აღმოსავლეთის ასპარეზზე გაუგზავნიათ.

დობრუჯაში მყოფი გერმანელ-ბულგარელ-ოსმალთა ჯარი ძლიერი ყოფილა.

——

ბულგარელებს დობრუჯის ყველა მცხოვრები 20—50 წლამდის ჯარში გაუწვევიათ.

——

უნგრეთში 16—18 წლიან ახალგაზდებისაგან და 50 წლის მოხუცებიდან მოხალისეთა ახალი ჯარი შეუდგენიათ.

——

უნგრეთშივე სამხედრო მინისტერს აზრათ ჰქონია ახალგაზრდათა და მოხუცთაგან ახალ ნახევარ მილიონიან ჯარს შეადგენდა.

——

სამხედრო მიმოხილვების აზრით ტრანსილვანიაში ცოტა ხანში დიდი ბრძოლები ატყდება.

——

სომმის ასპარეზის მნიშვნელოვან პუნქტთან, შაპომთან ინგლისელებს ერთი ტაქტიკური წარმატება კიდევ მოუპოვებიათ, ინგლისელები შაპომს 4 კილომეტრით დაუახლოვდნენ და გერმანელთა მთავარი სიმაგრეების ხაზი შაპომთან უკვე გაურღვევიათ.

——

„პტი ჟურნალი" სწერს, გაჰქრა გერმანიის დაუმარცხებლობის ზღაპარიო.

——

ფრანგულ გაზეთების ცნობით სომმაზე გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ მოკავშირეებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც იძულებულნი ხდებიან უკან დაიხიონ.

——

ბელგიურ გაზეთის ცნობით ბელგიაში მოელიან გენ. ბისინგის ბრძანებას, რომლის ძალითაც გერმანელი მოხელეები პირველ ოქტომბრიდან გერმანიაში უნდა გადასახლდნენ; ამის გამო უნდა ვიფიქროდ გერმანელები ბელგიის დაცლას აპირებენო, დასძენს გაზეთი.

——

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შეუტანიათ პროექტი 1918 წელს ჯარში გასაწვევთა ასაწერად.

——

იტალიის ასპარეზზე ზოგიერთ ადგილას ავსტრიელებს მედგარი იერიშები მოაქვთ.

——

იტალიელები წინააღმდეგი ყოფილა, რომ საბერძნეთი ომში ჩაერიოს.

——

მრავალი ბერძენი აფიცერი სამსახურს თავს ანებებს და მეამბოხეთ უერთდება.

——

ნაღმოსანი № 14 და ჯავშნოსანი „პსარა" მოკავშირეთა ფლოტს შეუერთდა.

——

ბერძნულ გაზეთებში 146 აფიცერის ხელმოწერილი განცხადება დაიბეჭდა, რომლითაც მოუწოდებენ ხალხს, ვენიზელოსს მიემხროს და ბულგარეთთან საბრძოლველად გავიდეს.

——

მთელი კუნძული კრიტოსი დღეს მეამბოხეთა ხელშია. ქ. გერაკლიონში მთავრობის ჯარმა ჯერ წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოლოს იძულებული იყო დანებებოდა.

——

ვენიზელოსმა კუნძი კრიტოსზე გამგზავრების წინ შემდეგი განცხადება მოათავსა გაზეთებში: „მე მივდივარ კრიტოსზე არა აჯანყების მოსახდენად მთავრობის საწინააღმდეგოდ და მეფის გადასაყენებლად. ჩემი მიზანია საბერძნეთი მიემხროს მოკავშირეებს და ომი გამოუცხადოს ბულგარელებს, რომლებიც ატყვევებენ, ხოცვენ და სტანჯავენ ბერძნებს. მე მუდამ იმას ვიძახოდი, რომ საბერძნეთი მოკავშირეებს უნდა მეგობრობდეს მეთქი. პირველ გავანებე სამსახურს თავი 1915 წლის თებერვალში რადგანაც მეფემ უარი სთქვა მოკავშირეთა მხარეს ომში ჩარევაზე. მეორედ კი საბერძნეთმა სერბეთთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია და ამას მე ვერ შევურიგდი. რამდენიმე ფოსტის ბულგარელთა მიერ დაჭერამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა სახელმწიფოვო. ამიტომ მე გადავწყვიტე შევაიარაღო ხალხი და ომი გამოუცხადო ბულგარეთს.

——

დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარეთ ვენიზელოსი, საზღვაო მინისტრი კუნდურიოტისი და სამხედრო მინისტრ-გენერალი დანლისი.

——

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი ნოვო-ალექსანდრიის აღმოსავლეთით გერმანელებმა რუსებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსებმა შესძლეს მათი შეჩერება მკაცრი ბრძოლა აგრეთვე ზატურკოსთან. ცენიუვკაზე სასტიკი ბრძოლები გრძელდება. ავსტრიელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ რუსებს.

დასავლეთის ასპარეზი. სომმაზე გერმანელებს მედგარი იერიში მიაქვთ და ზოგ ალაგას მოკავშირეებს ოდნავ დაახევიეს კიდეც. დანარჩენ ადგილებში მოკავშირეები მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებენ და წინ მიიწევენ.

იტალიის ასპარეზი. ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

რუმინიის ასპარეზი. ტრანსილვანიაში პეტროშენისა და ოზროჩის შუა გერმანელები რუმინელებს მედგრად უტევენ. რუმინელები და რუსები კი დობრუჯაში უტევენ ბულგარელთ, მაგრამ მდგომარეობა კი ორივე ალაგას ჯერ უცვლელია. ტურტუკაისა და რუშჩუკის შუა რუმინელებმა დუნიას სამხრეთ ნაპირზე გადავიდნენ.

მაკედონიის ასპარეზი. გენ. სარაილის ჯარი კვლავ განაგრძობს მოწინააღმდეგეზე იერიშების მიტანას.

კავკასიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

საბერძნეთის გაზეთებში სავსეა წერილები ვენიზელოსისა და კუნდურიოტის კრიტში ჩამოსვლის შესახებ. ამ დიდებულ ადამიანთა შეხვედრას დიდებული ხასიათი ჰქონდა. ამ კუნძულს მცხოვრებთა ყველა მოწინავე ძალები, 10,000 მეამბოხე და და ჯარი აღტაცებით შეხვდა ელინთა გამოჩენილ პატრიოტებს. ვენიზელოსმა მხურვალე მადლობა გადაუხადა კრიტელებსა და გამოსთქვა იმედი, რომ მეფე დაემორჩილება ხალხის სურვილს.

——

ვენიზელოსმა და კუნდურიოტისმა რევოლიუციონერთა ჯარი დაათვალიერეს.

——

ყოფილი სამხედრო მინისტრი დანგლისი, რამდენიმე სარდალთა თანხლებით გაემართა ვრიტისკენ და აჯანყებულთა დროშა ააფრიალა ნალმოსანთა პორტზე.

——

გერაკლიონში დროებითი მთავრობის განკარგულებით შეპყრობილ იქნა სკულუდის კაბინეთის მინისტრი მიხელიდაკისი ის იყო გამოჩენილი მეთაური ანტიეროვნული მოძრაობისა. მიხეილ დაკისი ძალით სცდილობდა გერაკლიონერთა ეროვნულ მოძრაობის შეჩერებას.

——

საბერძნეთის მეფის შვილმა ანდრიამ, რომელიც ლონდონში იმყოფებოდა საბერძნეთის წარმომადგენლათ, ბრძანება მიიღო მეფის რომ დაუყონებლივ ათინაში დაბრუნდეს.

——

გაზ. „ტაიმსი“ თავის მეთაურს უძღვნის ამ გარემოებას და სხვათა შორის ამბობს:

— ვიდრე ჩვენს მოქმედებას განვაგრძობდეთ საჭიროა გავიგოთ თუ რა ხდება საბერძნეთში. იქ არაფრად აგდებენ ჩვენს მოთმენას, დასცინიან მას. ამას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა მოკავშირეებმაო.

სამხედრო მიმოხილვა.

სხვადასხვა ასპარეზებიდან მოსულ ოფიციალურ ცნობათა შორის საყურადღებოა მხოლოდ ის დეპეშები, რომლებიც სომმას ასპარეზისა და ბალკანეთის ბრძოლების მსვლელობას ეხებიან.

მართლდება ის მოსაზრება, რომ გერმანელებს, თანახმად ახალი სამხედრო დიქტატორის გენ. ჰინდენბურგის გეგმისა, ფართე სტრატეგიული უკანდახევა გადაუწყვეტიათ დასავლეთ ასპარეზის ჩრდილოეთ ნახევარში. როგორც ჩვენ თავის დროზე შევნიშნეთ, ამ უკან დახევის დროს გერმანელები იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება მეტი ზარალი მიაყენონ მოწინააღადეგეთ. ამისათვის დრო და დრო შეტევაზე გადადიან, მერე უკან იხევენ და ცდილობენ მოკავშირეთა ჯარი თავის მკვიდრ სიმაგრეებს მოსწყვიტონ და ხელოვნურად დაფარულ ზარბაზნებისა და ტყვიის მფრქვევლების ცეცხლში გახვიონ ისინი.

ამ გეგმას მიზნადა აქვს ასევ ის, რასაც ამ ომის განმავლობაში მუდამ ელტვოდნენ გერმანელები: მოწინააღმდეგის ძალების შემცირება და საკუთარის კი შენახვა.

რამდენად აღწევენ ამ მიზანს გერმანელები დასავლეთის ასპარეზზე ოფიციალ დეპეშებიდან არა სჩანს; მხოლოდ კერძო ცნობების წყალობით ჩვენ ვიცით, რომ გერმანელებმა საკმაოდ დიდი ძალები მოხსნეს დასავლეთის ასპარეზზე და აღმოსავლეთისაკენ გამოგზავნეს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ძალები ბალკანეთზე და მის ახლომახლო ჯგუფდება. აქ გადის ამ ჟამად მთავარი ნერვი გერმანიის კოალიციის ძლიერებისა და ამ ნევრის დასაცავადაა ამოდენა ჯარი იქ თავმოყრილი.

ბალკანეთის ყელის დაცვა შეიძლებოდა საზღვრებზე გამაგრებით, მაგრამ მოკავშირეთ იმდენად დიდი ჯარი ყავთ ბალკანეთზე რომ ისინი არ დაერიდებიან დიდ ზარალს, ოღონდ კი გადალახონ ბუნებრივი დაბრკოლებანი და შედგან ფეხი ბულგარეთის მიწაწყალზე. თავის თავად მდ. დუნაი, მაკედონიის მთები და ტბები საიმედო ბუნებრივი საფრებია, მაგრამ საიმედო იმ შემთხვევაში თუ მოკავშირეები ჯარს დაზოგვენ. ეხლა კი როგორც ეს თან და თან ირკვევა, მოკავშირეები ჯარებს უმატებენ და მაშასადამე აზრათა აქვთ, რათაც უნდა დაუჯდეთ, გადალახონ ეს ბუნებრივი დაბრკოლებანი. სხვათაშორის ამის მაჩვენებელია გუშინდელი დეპეშების ცნობა რუმინელების რუშჩუკსა და ტურტუკაის შუა მდ. დუნაის სამხრეთ ნაპირზე გადასვლა. უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი ფართე მდინარის გადალახვა, როგორიც არის დუნაი ძვირად უნდა დასჯდომოდათ რუმინელებს.

და თუ, როგორც ვთქვით მოკავშირეები არ დაერიდებიან ზარალს და ინდომებენ მიზნის მიღწევას გერმანელებმა ძალაუნებურად სხვა ღონე უნდა იხმარონ და სადმე შეუტიონ და შეაჩერონ მოკავშირეთა გადასვლას ბულგარეთის მიწაწყალზე.

როგორც ეს მკრთალადა სჩანს დეპეშებიდან უკვე გამოუძებნიათ გერმანელებს ღონისძიება. ტრანსილვანიაში გერმანელ ავსტრიელ ოსმალთა ძალები მედგრად უტევენ რუმინელებს; მხოლოდ ამის საპასუხოთ კი რუსებმა განაახლეს შეტევა გალიციაში ეს გარემოება ართულებს საქმეს და მცირეოდენ ხანში ეჭვი არ არის მდგომარეობა გამოირკვევა და დავინახავთ როგორ წავა ბალკანეთში საქმე.

შვერელი.

ახალი ამბავი.

◆ 20 სექტემბერს ქალაქის თეატრში ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა ქალმა, კარმენ სოლიარიმ და საიმპერატორო თეატრის არტისტმა ბერნარდიმ, გამართეს კონცერტი. ამ მომღერალმა ქალმა, თავისი მშვენიერი და საუცხოვოთ დამუშავებული ხმით აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება. მრავალი ტაშით იქმნა იგი დაჯილდოვებული და აგრეთვე ხელმეორეთ სცენაზე გამოწვეული. არა უშავდა ბ. ბერნარდისაც. ეს მომღერლები ხელ მეორეთ დღეს განიმეორებენ კონცერტს ახალი პროგრამით.

◆ 21 სექტ. საღ. 5 ს. რიონის გაღმა ორპირის ქუჩაზე დ. სალუკაძეს სახლში მოხდა აფეთქება. გამოძიებამ გამოარკვია რომ ნოქარმა ზვიადაძემ თავის საწყობში ბოჭკა შეაგორა 3 წამის შემდეგ აიღო ჩაქუჩი ლურსმები და კარებისაკენ გაემართა. ამ დროს მოულოდნელად აფეთქება მოხდა, ავარდა ცეცხლი, ნოქარს წინსაფარი მოსწვა და მარცხენა ფეხი დაუშავა. ყუმბარის ნატეხებით ჭური რამდენიმე ალაგას გაიხვრიტა. იქვე იპოვეს ყუმბარის ნატეხები. იქ, სადაც აფეთქება მოხდა, ორმო დარჩა 10 ვერშოკის სიღრმისა და ჩაის ლამბაქის სიფართე. გამოირკვა, რომ ასაფეთქებელი მასალა მიწაში ყოფილა ჩაფლული.

◆ ქალაქის საწყობიდან თორნეში ფქვილის გადასაზიდათ. ერთი ცხენიანი ურემი 3 მ.-ს 50 კ. იღებს, ხოლო ორ ცხენიანი 7 მ. 50 კ.

◆ უვარგისი სურსათის გაყიდვისთვის დაჯარიმებულ იქნენ შემდეგი რესტორნები და მოვაჭრეები: რესტორანი „იალტა“, მოვაჭრე ან. მ კილასონია. ვ. ვ. ერიშვილი, ა. ნ. განუქრავა, ვ. ლოკვინაძე, ვ. ე. ხურცია, ნ. ი. ქიქინაძე, ა მ. თებზაძე, ვ. ფ. ქარხალაშვილი ო. მ. ჩოროგვიანცი და აზნიაძე.

◆ ქალაქის სასანიტარო ექიმმა სახლების და სავაჭროების ანტისანიტარულ მდგომარეობის გამო დააჯარიმა სახლის პატრონები ან. ივ. ქიქინაძე ვარანცოვის ქუჩაზე და მოვაჭრე გ. ნ. ბურჯანაძე პუშკინის ქუჩაზე.

◆ ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში ივლისის განმავლობაში გაშინჯული იყო სხვადასხვა სანოვაგის 75 ნიმუში, ხოლო აგვისტოში—80 ნიმუში.

◆ უვარგისი საქონლის გაყიდვისთვის პასუხის გებაში მისცეს თერთმეტი ვაჭარი

◆ ქუჩაში იპოვეს ყარ. ქაიხ. მგელაძის სახელზე აღებულ უვადო პასპორტის წიგნაკი. პატრონს შეუძლია მიმართოს ქალაქის თეატრში ალექ. გუგუშვილს.

თფილისი.

— პოლიტექნიკუმი. თბ. პოლიტექნიკუმის შესანახად ფულის გაღება დაიწყება მომავალ წლის მეორე ნახევრიდან. იმ წელშივე დაიწყება სწავლა პირველ კურსზე. მეცადინეობა იწარმოებს თბ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობაში, თუ მანამდე სხვა ბინა არ მოუძებნეს.

— სტიპენდიების განაწილება. ქ. შ. წ. კ გამ. საზ. გამგეობამ 20 ენკენისთვის სხდომაზე კენჭი უყარა 29 მთხოვნელს, განსვენებულ დ. ზ. სარჯიშვილის 5 სტიპენდიისას. სტიპენდიები ერგოთ სტუდენტებს: დავით ნიკ[illegible], ვას[illegible] [illegible]ძეს (კონკურსში [illegible] ქართულ სას. ს მ. საზ. საბჭოს მიერ იყო ნაქები), შალვა თაბუკაშვილს, დიმიტრი ბარნაბიშვილის და ალექსანდრე ცირეკიძეს. ერთდროული დახმარება დაენიშნა იარკლი უთურგაულს.

— ხევსურთა მეორე დეპუტაცია. გუშინ მეორე დეპუტაცია წარუდგა თბ. გუბერნატორს პირიქით ხევსურეთიდან შატილისა და არდოტის სოფლის საზოგადოებისა ქარ. საქველმ. საზ. რწმუნებულის დ. გ. ცერცვაძის თანხლებით და ისეთივე თხოვნით მიმართა როგორც პირაქეთ ხევსურეთის დეპუტაციამ. გუბერნატორმა ისეთივე პასუხი გასცა როგორც პირიქეთელებს და თანაც დასძინა, რომ მეფის ნაცვლის თანაშემწე გენ-ლეიტ. თ-დი ორლოვი პრინციპიალურად წინაღმდეგი არ არის სამხედრო ბეგრის მოსახდელად აქვე დასტოვონო.

— სათეატრო სეზონი. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ საბოლოოდ დაამთავრა მოლაპარაკება ქართველ მსახიობთა ამხანაგობასთან და 1 ოქტომბრიდან იწყებს საზამთრო სეზონს. დასში შედიან შემდეგი მსახიობნი: ქ. ქ. ნინო დავითაშვილი, ტ. აბაშიძე, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, გ. იმხნელი, ნ. გვარაძე, გ. ფრონისპირელი, ნ. ციციშვილი, მ. სარაული, ვ. ჩაგუნავა ი. თარალაშვილი. რეჟისორად მიწვეულია ალ. წუწუნავა. ამხანაგობის წარმომადგენლად დასმა აირჩია ი. ზარდალიშვილი. გარდა ამისა დრო გამოშვებით მიწვეულ იქნებიან ქ. ჩერქეზიშვილი და ბ. ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი და დ. მგალობლიშვილი.

პროვინცია.

სოფ. ოზჩა (ქუთ. მაზრა.) აგვისტოს ბოლო რიცხვებში ოზჩის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელმა ამბაკო ღიბრაძემ ეკლესიის გალავანში რევოლვერი ესროლა ადგილობრივ მცხოვრებს ვანო რომანოზის-ძე ბურჯანაძეს. ტყვიამ მხოლოდ ტანისამოსი გაუხვრიტა, და სხეულზე არ მოხვედრია.

ამ საქმეზე ადგილობრივმა მამასახლისმა და შემდეგ ბოქაულმა ოქმი შეუდგინეს და გამომძიებელს გადასცეს.

მიზეზი მღ. ღიბრაძის ამგვარი მოქმედებისა დღესეც გამოურკვეველია, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მღვდელი, ღიბრაძე მეტად ცუდი ხასიათის კაცია: მაგალითად იმას აქვს უკმაყოფილება და საჩივარი: მშობელ-მამასთან, ძმებთან, მეზობელი მღვდლებთან, მასწავლებლებთან და თითქმის ყოველთვის მეზობელთან.

ამ ბოლო დროს უკმაყოფილებას და ცუდ განწყობილებას ის დაუმატა, რომ

ეროვნული ეკონომიკა.

„ეკონომიური მეცნიერების ლიუტერმა“ ფრ. ლისტმა კერძოთ და ისტორიულ რეალისტურ შკოლამ საზოგადოთ ახალი და საკმაოდ ჭეშმარიტი აზრი შეიმუშავა პოლიტიკურ ეკონომიაში. ეს აზრი მოკლეთ შემდეგია: ერი თავისებური ეკონომიური ცხოვრების მატარებელია პიროვნებასა და კაცობრიობას შორის; ერი ამ ორ უკანასკნელ სოციალურ ცნებათა შუამავალია ნივთიერსა თუ სულიერ კულტურის ნიადაგზეო.

აი სწორედ ამ მთავარი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ფრ. ლისტი, როდესაც მან მოსთხოვა გერმანიის მთავრობას, გერმანული კაპიტალის მფარველობითი სისტემით შემოზღუდვა. გამოჩენილი ეკონომისტი კარგათ ჰხედავდა თუ რა განსაცდელს უმზადებდა საფრანგეთის გაძლიერებული აღებ-მიცემობა გერმანიის არამც თუ საგარეოს, არამედ საშინაო ვაჭრობა-მრეწველობას; ამიტომ ის მარტო სამინისტროში შეთხზულ პროტექციონისტური ხასიათის მოხსენებებს არ დასჯერდა და განსაკუთრებული შრომა უძღვნა ამ საკითხს.

მისი ნაწარმოები „ნაციონალურ სისტემა პოლიტიკური ეკონომიისა“ საუცხოვო ნიმუშია ღრმა დაკვირვებისა და ცხოველმყოფელი ნიჭისა. ფრ. ლისტს ზურგს უმაგრებდა მრავალი თანამოაზრე, რომლებმაც ღრმა კვალი დასტოვეს გერმანიის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

პროტექციონისტურმა მფარველობითი სალტემ საოცრად გააძლიერა გერმანული კაპიტალი, და დღეს კარგათ ვხედავთ იმ დაუშრეტელ ძალას, რომელსაც იჩენს ეს სახელმწიფო მსოფლიო ბაზარზე. რას გვეუბნება ეს მარტივი ფაქტი?

თავისთავად არც ფრ. ლისტის მოძღვრება და არც გერმანული კაპიტალი ჩვენ არ გვაინტერესებს. ყოველივე ამას ჩვენთვის მხოლოდ შედარებითი ღირებულება აქვს.

საქმე ისაა, რომ დღეს საკმაოდ მომწიფებულს ჩვენს ეროვნულ საკითხში, ეკონომიურმა ვითარებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. უცხო კაპიტალმა დაგვიჯაბნა! და ეს დაჯაბნება მხოლოდ დღეს შეიგნო ქართველმა საზოგადოებამ. საშუალო საუკუნის რანდული სულიერი განწყობილება თანდათან ჰქრება და სამაგიეროთ ვაჭრულ-სოვდაგრული გულისთქმა მეფდება ჩვენში. ვაჭრობა! სოვდაგრობა!.. არაჩვეულებრივი ზნეობრივ იდიალური გამბედაობა უნდა ჰქონოდა ქართველ ინტელიგენტს რომ ეს მოვლენა (ე. ი. ვაჭრულ-სოვდაგრული გულისთქმა) თანაგრძნობით და უპროტესტოთ აღენიშნა, ვინაიდან „სოციალისტური“ საქართველო ყალყზე დადგებოდა! მწვალებლობას დაგვწამებდენ.

დღეს უკვე შენელდა ქართველი ინტელიგენციის სიფიცხლე. ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ქართული კაპიტალის გაძლიერების მომხრეა, რადგანაც, მისი ღრმა რწმენით, კაპიტალიზმი ერთად-ერთი, ბოროტი, მაგრამ მაინც აუცილებელი საშუალებაა, სოციალიზმის განსახორციელებლად. მეორე ნაწილს ჩვენს საზოგადოებისას ამ შემთხვევაში ორთავა იანუსის პოზიცია უჭირავს: — „ეროვნული კაპიტალის“ წინააღმდეგ გაბედულათ ვერ ილაშქრებს, რადგან თვით ერი მისი აზროვნების დედაძარღვია.

თუმცა „ქართველი ბურჟუაზიის“ ხსენება ერთის მხრით აწითლებს მის. სოციალისტურ ბუნებას, და ხშირად იერიშებიც მიაქვს მის წინააღმდეგ. არის ისეთი შემთხვევაც ამ ჯგუფის აზროვნებაში როცა ის ეროვნული სიმდიდრის მფარველობასაც კისრულობს. ამგვარად ეს ჯგუფი ღალატობს ლოღიკას ეკონომიურ საკითხის გადაჭრაში.

პოლიტიკური ორჭოფობა დიდხანს ვერ გასტანს და როდესმე ეს ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა თავის სწორ სახეს გამოამჟღავნებს. მაგრამ, ვიდრე ყოველივე ეს მოხთებოდეს და ქართული აზროვნების ნამდვილი სახე უნიღაბოდ გამოჩნდებოდეს—ცხოვრების გარეშე პირობები ანგარიშს თხოულობს და ქართველი ერი კიდევ—გადაჭრილი პასუხს.

როგორც ვთქვით, თანამედროვე კაპიტალისტურ ხანას ქართველ მრეწველ კლასმა უკვე ალღო აართვა, მაგრამ ეს თავისთავად არაფერია. ქართველმა მრეწველმა, ავღანისტანში, ან კონსტანტინეპოლში რომ საუცხოვო ქარხნები გაიჩინოს, ამით ქართულ კაპიტალის იოტის ოდენაც არაფერი მიემატება! რატომ? რატომ და იმიტომ, რომ საქართველო როგორც სახელმწიფოებრივი სხეული არ არსებობს. ეს უკანასკნელი გარემოება კი მთელს ჩვენს ნივთიერს თუ სულიერ კულტურულ შემოქმედებას საშინლად აბრკოლებს. ხელმწიფე ერის მრეწველი-კომერსანტის ეკონომიური ენერგია კი,—სადაც არ უნდა ქმნიდეს ის ამ ენერგიას, სამშობლოში თუ სამშობლოს გარეთ,—განუყოფელი ნაწილია იმ ერის ეროვნული დოვლათის, რომელსაც ის ეკუთნის. მაგალითისთვის, აბა, გადავხედოთ გერმანიის ან ინგლისის მრეწველებს სამშობლოს გარეთ, საახალშენოებში, ან და სხვის სახელმწიფოებში. თუ ვისთვის ირჯებოდენ რუსეთში გერმანელი კაპიტალისტები ეს დღევანდელი ომმაც ყველასთვის ცხად ჰყო. მაშ ვიკითხოთ რად ხდება ასე? აი რად: კაპიტალიზმი შეიძლება მთელს დედამიწას დაეპატრონოს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითეულმა ერმა ეროვნული ხასიათი მისცეს მას და თავის ინტერესებს შეუფარდოს. ამისთვის მარტო გარეშე პირობები არ კმარა. საჭიროა ერის შინაგანი, სულიერი განცდაც, ეროვნული შეგნებაც. ამ შემთხვევაში ხელმწიფე ერის ცხოვრება უზრუნველ ყოფილია, რადგან, მისი პოლიტიკური ორგანოები გარეშე პირობებით შექმნილ სტიქიურ მსვლელობას, თავის ეროვნულ დარჯაკში ატარებს.

სულ სხვა მდგომარეობაშია უფლება აყრილი ერი. მას არ აქვს საშუალება ასეთი მოვლენები თავისებურათ, ეროვნულად შეინივთოს. ერთად ერთი ხსნა უუფლებო ერის, თვით ამ ერის ეროვნულ შემეცნების ღირსებაშია. დიჩაგრულმა ერმა აქ უნდა იკისროს ის როლი, რომელსაც მისი სახელმწიფოებრივობა იკისრებდა.

ასეთივე უნდა იყოს ჩვენი ეროვნული შეგნებაც, რადგან ჩვენც უუფლებონი ვართ, მაგრამ ჩვენმა განყენებულმა აზროვნებამ თითქმის ეროვნულ თავდავიწყებამდე მიგვიყვანა. აქ უმთავრესად აღსანიშნავია შემდეგი გარემოება...

როდესაც ჩვენში სომეხ ქართველთა ურთი-ერთობაზე ლაპარაკობენ ხოლმე, ერთი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს შორის ეროვნული ნიადაგზე კი არ წარმოებს განხეთქილება, არამედ ეკონომიურზეო. ასეთი მსჯელობიდან ის გამოდის, თითქოს ქართველებსა და სომხებს თავიანთი ეკონომიური ინტერესები არა ჰქონდეთ და თითქოს ქართული სოფლური წარმოება და სომხური ფულის კაპიტალი (денежный капиталъ) არ ახასიათებდეს თითოეული მათგანის წმიდა ეროვნული ეკონომიურ ცხოვრებას. თუ გნებავთ წარმოვიდგინოთ, რომ ქართველებსა და სომხებს შუა არსებულ უთანხმოება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზეა, მაგრამ ეს უთანხმოება მაინც ეროვნულია, ვინაიდგან თვით ეკონომკა თავისთავად ეროვნულია. ამ მარტივი აზრის შეგნება არ სურთ ზოგიერთებს, მხოლოდ იმიტომ, რომ თვით ეროვნებას ებრძვიან. იმასაც კი ამტკიცებენ რომ გვინდა თუ არა კაპიტალიზმი მაინც შემოვა საქართველოში ი. ეს მოსაზრება უფრო საშიშია ჩვენი მერმისათვის ვიდრე არსებითად უარყოფა თვით ქართული კაპიტალის აღორძინებისა. ამ შემთხვევაში საზოგადოება არავითარ პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობს ცხოვრების ობიექტიურ მსვლე-

ქუთაისის ქალაქის თეატრი
კვირას, 23 სექტემბერს
გაიმართება
# კონცერტი
იტალიის ოპერის ცნობილი მსახიობი ქალი
კარმენ სოლიარი (სოპრანო)
და საიმპერატორო თეატრის მსახიობი
რ. ფ. ბერნარდი (ბარიტონი)
პიანისტ **ა. ო. ნემეტტის** მონაწილეობით
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
314 დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1—1

ეკლესიის გალავანში ხალხს ტყვიით გაუმასპინძლდება. ვგონებ, რომ საჭიროა ყურადღება მიაქციოს მამა ამბაკოს ასეთ საქციელს მისმი პირდაპირმა მთავრობამ, რადგან დღეს ხალხი ისედაც დაჩაგრული და დაბეჩავებულია მტრის ტყვიისაგან და მღვდლების ტყვია აღარ ესაჭიროებათ.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ის გარემოებაც, რომ მამა ამბაკოს წირვა-ლოცვას ესწრებიან მხოლოდ ეკლესიის ყარაულები და ხანდისხან სტაროსტა, ამათ გარდა ვერავის თქვენ ეკლესიაში მლოცველს ვერ ნახავთ, მღვდელის სიძულვილისა გამო.

მწყემსი.

სადედისო.

წერილი მეორე.

იხ. „სამშ“. 441.

ჩვენში არსებული სასწავლებლები ხშირად ანგარიშს არ უწევენ ბავშვის სულის კვეთებას, ხოლო თუ უწევენ, მარტოოდენ ფორმალიზმით ხელმძღვანელობენ.

როგორ ფიქრობ მკითხველო, მასწავლებლები (ზოგი მათგანი, რასაკვირველია) არ გრძნობენ ამას? გრძნობენ, მაგრამ რა, აბა ბიჭია და ხმა ამოიღოს. 24 საათში უნდა გამოემშვიდობოს თავის ადგილს.

პედაგოგიური საბჭო, სადაც წყდება ბავშის საქმე, გადაქცეულია „სამხედრო საველე“ სასამართლოდ, სადაც ისეთი უფროს-უნცროსობაა, გამეფებული, რომ მასწავლებელს შიშით ხმა ვერ ამოუღია.

ამოიღებენ ხმას, და ისეთი ბედი ეწვევათ მათ, როგორიც ეწვია ქუთაისის ერთ ერთ ქალთა სასწავლებელში 9 დამსახურებულ მასწავლებელს

პედაგოგიურ საბჭოში წყდებოდა ერთი ბავშვის ბედი. უნდა დაეთხოვათ ის მოწაფე, ეს 9 მასწავლებელი ამტკიცებდა, რომ მოწაფე გამოგდების ღირსი არ არისო, აი ამისათვის ეს 9 მასწავლებელი დაითხოვეს სასწავლებლიდან. არ იფიქროთ, რომ ეს ლიტონი სიტყვებია არა, ეს მთელმა ქუთაისის საზოგადოებამ იცის. ვითომ ხმაც ამოიღო მაშინ საზოგადოებამ, მაგრამ ეს ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: რას იზამთ! „დათვი რომ მოგერიოს ბაბა დაუძახეო“.

აი ამ ნაირათ არის დღეს დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში.

ბევრია მასწავლებლები, და არ არიან პედაგოგები. არ არის სასწავლებელი და არის მასწავლებელი! ვითომ ზოგან არსებობს მშობელთა წრე, მაგრამ რა გამოვიდა, ბურთი აქვს პირში ჩაჩრილი. მათი არაოდეს არაფერი არ გადის.

ჩვენი ბავშვები გიმნაზიას ათავებენ, და ვინ იყო ილია ჭავჭავაძე არ იციან. ჩვენი ქალები რვა კლასს ათავებენ, და რვა სიტყვა სწორედ ვერ დაუწერიათ.

სასწავლებელში დაყენებულმა წესმა ოჯახებზედაც იმოქმედა, და დღეს ჩვენს ოჯახში დაბადებულ ბავშვსაც კი „დედას“ მაგივრათ Мама-ს აძახებიებენ. რვა კლასს ათავებს მოწაფე და ქართული ანბანი არ იცის.

მართალია გვაქვს ორიოდე სასწავლებელი, რომლებიც ვითომდა ასეთი ჭაგრით არ არიან მოწამლულნი, მაგრამ იქაც ვერ არის კარგათ საქმე დაყენებული. იქაც ბურთს ჩრიან პირში, იქაც ნათელმირონობა და შენ ჩემობაა გამეფებული.

ლათინურმა ჩვენი ბავშვები გამოაყეყეჩა, დაუჩლუნგა გონება, აზრი, მის სამშობლოში არსებულ სკოლაში მას არ ესმის მისი ენა.

ვინ არის ყოველივე ამაში დამნაშავე? ისევ ჩვენ და სხვა არვინ. არის საშველი თუ არა, რომ გამოიხსნათ თავი აქედან? არის. არის, თუ ჩვენ ქაღალდი, ტემლაკები, და ორდენები არ გვაინტერესებს. მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ ჩვენ სხვა არა გვაინტერესებს რა! ოღონდ ქაღალდი, თბილი, ჩინ-ორდენებიანი ალაგი ვიშოვოთ, მოვიკალათოთ იქ, და დავივიწყოთ ყოველივე, რაც კი ეხება ჩვენს სამშობლოს, ჩვენ მხარის კეთილ დღეობას. დიახ, ასე არის საქმე, და რა ვქნათ, ვერავინ ვერ უარვყოფთ ამას; ვხედავთ თვალებზე ხელს ვიფარებთ. ვგრძნობთ და ვსდუმვართ!.

ავიღოთ პოლონეთი და პოლონელები. სულ სხვაა იქ. როდესაც გადავხედავ თუ რა ხდება იქა, გული მიკვდება, რომ ჩვენ ისე დავკნინდით ისე დავეცით, რომ არ გვაინტერესებს ის რაც შეეხება ჩვენს ყოფა-ცხოვრებას.

პოლონეთში არის სრულ უფლებიანი მთავრობის სასწავლებლები, და არის კერძო სასწავლებლები, რომლებიც არავითარ უფლებას არ აძლევს, მაგრამ ყოველივე საგნის სწავლა, ამ სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე სწარმოებს. ვიმეორებ ეს სასწავლებლები არავითარ უფლებას არ იძლევა, მიუხედავათ ამისა სწორედ ამ სასწავლებელს ეტანება პოლონელი. რატომ? იმიტომ, რომ პოლონელს ქაღალდი კი არ აინტერესებს, არამედ სწავლა, სწავლა საღი, მშობლიურ ნიადაგზე დამდგარი. დიახ, პოლონელს ესმის თავის მოვალეობა. კარგათ იცის, თუ რა ცეცხლშიც იმყოფება ის! და კარგად იცის თუ რა უშველის მას. ჩვენ, კი?

დროა ვისარგებლოთ 1914 წლის კანონით და ჩვენ შვილებს ჩვენვე მოუაროთ, თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ინ—ჟანი.

ლობაში. და საშინელ მდგომარეობასა, უმოქმედობასა და უაქტივობას შეუძლია გაბატონება. მასში ეს კი საბოლოოთ დაახჭარებს ჩვენს ეროვნულ უბედურებას.

შეიძლება საქართველოში გაძლიერდეს ბურჟუაზია, მაგრამ არავის არ შეუძლია მოგვცეს იმის პირობა რომ იგი ქართული იქნება ჩვენი ურწმუნო თომათა შორის ყველაზე პირველად ნ. ჟორდანია მივიდა ამ დასკვნამდე

ერთხელ და სამუდამოდ, უნდა შევიგნოთ რომ საჭიროა საღი ქართული ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, ობიქტიური პირობების შეგნება და ამ პირობების ეროვნულად მოწესრიგება, თორემ კაპიტალიზმიც ისეთივე უბედურობის წყარო შეიქნება, ჩვენთვის, როგორც სხვა მრავალი სხვა რამ შეგვექნა სავალალო ამიტომ ისევ წინაპართა დიდ-ბუნებოვანი აზრები უნდა აღვადგინოთ! დღესაც სიტყვა-სიტყვით უნდა განვიმეოროთ ის, რასაც სოლომონ მეფეს (II) ურჩევდა ალ. ამილახვარი

„არა რაჲ არს ერსეთ განმადიდებელი და განმაძლიერებელი სახელმწიფოჲსა, ვითარ სიმრავლეჲ ვაჭართა და ვაჭრობა მათი, რომელნი მოვლიან ყოველსა სოფელსა და შემოკრბენ ყოველგნით კეთილსა მამულსა თვისსა და დამჭირნოსა ცხოვრებისათვის კაცთასა. ამისათვის ჰხამს ცდაჲ განმრავლებისა მათისა და გახალისებაჲ მათი საქმეთა შინა მათთა და ნურც ვინ შეურაცყოფთ სახელმწიფოსა შინა მათ, რომელნი შეირაცხვიან სიმაგრედ ჯარისა, შემმოსელ ერისა და დიდებად მეფისა. რომელსა სძულს ვაჭარი და შეურაცხყოფს, ნუმც უყვარს მას სიმრავლეჲ თეთრისა და ნუმც დიდებით ცხოვრებაჲ თვისი, ურომლითაოდ არა ეგების არცა ერთი და რომელთა მივიჩნევ დიდად მონაწილედ კეთილოვნებისა სამეფოჲსათა“.

არა ნაკლებ საყურადღებოა ჩვენთვის ის საღი აზრი დიდ ამილახვარისა, რომელსაც ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ:

„ვაჭართა მიუღიეს თავსა შორის თვისა მსგავსებაჲ ბუნებით კეთილ-გონიერისა ფუტკრისა, რომელი მპოვნელი მზესა ქუეშე ყოვლისა სიტკბოებისა, შემოკრებას ბუდესა თვისსა და აღავსებას თავსა თვისსა და პატრონსა, ხოლო თუმცა ვჰპოებდეთ რასმე ნაკლულევანებასა ვაჭართა შინა, ჰხამს ეგრეთ მომთმენეობ ვიყუნეთ ვითარ იგი პატრონი ფუტკართა ისარსა მისსა[1])“..

ვნე.

— —

ამგვარად ჩვენს ერს იხსნის მხოლოდ ეროვნული სიფხიზლე და ის გარემოება, რომ ჩვენი ვაჭრობა მრეწველობა აყვავდეს მშობლიურ ნიადაგზე, რასაც მოვითხოვთ ჩვენის ვაჭრებისაგან, და მხოლოდ ამ დიდებულ მომავალის შექმნისათვის უჭერთ მას მხარს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მათთან საერთო არა გვაქვს რა.

ავტ.

---

[1]) ექვ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები.

საბერძნეთის რევოლუცია.

თანამედროვე ომმა დიდი ცვლილებანი გამოიწვია. მებრძოლ სახელმწიფოთა შინაურ ცხოვრების მიმდინარეობაში ომმა ძირიანფესვიანად გამოსცვალა დიდი ხნობით შეთვისებული ჩვეულებები და შეხედულებანი ცხოვრების სხვადა სხვა მხარეებზე. მაგრამ არა ნაკლებ გავლენას ახდენს ომი ნეიტრალ სახელმწიფოთა შინაურ ცხოვრებაზე, პირიქით ხშირად ომი ნეიტრალ სახელმწიფოს არსებობასაც კი შეხებია.

თუ მებრძოლი სახელმწიფო დაინტერესებულია ომით და მისგან რაიმეს მოელის ამ მხრით ნეიტრალ სახელმწიფოების მდგომარეობა მეტად უნუგეშოა, ისინი განიცდიან ომის გამანადგურებელ გავლენას და ომის გათავებითაც ვერაფერს ვერ ისარგებლებენ, პირიქით ორივე მებრძოლი მხარე ემუქრება, ომი რომ გათავდება და გავიმარჯვებთ საზავო კონფერენციაზე გაგანადგურებთ და იმასაც ჩამოაგრთმევთ, რაც ხელში გიჭირავსო

მიზეზი კი ამისა ის არის, რომ ნეიტრალი სახელმწიფო არ თანხმდება მათ და არ ერევა ომში. ავია თუ კარგი თქვენთვის დამალოცნია ეგ ომი, მხოლოდ მე კი ხელს ნუ მახლებთო, თითქოს ასე ეუბნებოდეს ყოველი ნეიტრალი ქვეყანა მის ძალდამტანე მეომარ სახელმწიფოს. ასე იქცევა შვეიცარია, ისპანია, სკანდინოვიის სამივე სახელმწიფო და საბერძნეთი. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელის მდგომარეობა, აქ როგორც სხვა ნეიტრალ ქვეყანაში ორივე მებრძოლმა მხარემ თავიდანვე ფართე აგიტაცია გასწია თავის აგენტების შემწეობით. ამ სფეროში ყველა ღონისძიება იქნა მიღებული, არაფერს არ ერიდებოდნენ ერთ მხრით გერმანია და მეორე მხრით მოკავშირენი, ოღონდ კი როგორმე თავის მხარეზე გადმოებირათ ქვეყანა.

საბერძნეთში ბოლოს და ბოლოს გამარჯვება მოკავშირეთ დარჩათ. მათ დაარწმუნეს ხალხი, რომ მხოლოდ ისინი მიაღწევინებენ ბერძნებს მათ ნაციონალურ მიზანს და გააფართოვებენ საბერძნეთის მიწაწყალის

საბერძნეთში მოკავშირეებს დიდი სამსახური გაუწია სახელ განთქმულ ვენიზელოსმა, რომელმაც, თანახმად დეპეშების ცნობებისა, თავისი ჯარი და ფლოტი შეადგინა.

ამნაირად ქვეყანა ორად გაიყო. ხალხის უმეტესი ნაწილი ომში ჩარევაო მოითხოვს და ძალას ატანს მეფეს. მხოლოდ მეორე ნაწილი კი თვით მეფის მეთაურობით ნეიტრალიტეტის მომხრეა.

რამდენად მიაღწევდნენ თავის მიზანს ბერძნები, თუ ომში ჩაერევიან ისინი?

ვიდრე ამის პასუხს გავითვალისწინებდეთ, საჭიროა გავიგოთ, რის გაკეთება შეუძლია მას, რომ იმის და კვალობით მოსთხოვოს მოკავშირეებს მისი საფასური.

მართალია საბერძნეთის ფლოტი მნიშვნელოვანია და გემებზე მსახური ფლოტის ჯარი კი ომში გამოწრთობილი და გამოცდილ მეზღვაურებისაგან შესდგება, მაგრამ რა უნდა შემატოს საბერძნეთს შედარებით პატარა ფლოტმა, როდესაც ცენტრალ კოალიციის საზღვაო ძალები ზღვაში არ გამოდიან და ინგლისის, საფრანგეთის რუსეთის და იტალიის ფლოტი დიდი ხანია გაბატონდა ზღვაზე და ეხლა თითქმის სრულიად უქმადა სდგას ნავთსადგურებში.

ხმელეთის ძალაც საბერძნეთისა არ არის ბევრის დამპირებელი, ვინაიდგან იგი, რაც უნდა გაძლიერდეს 400,000-ზე მაღლა ვერ ავა, მხოლოდ თუ ერთი თვე ისეთ ბრძოლებში მოუხდათ ბერძნებს ბრძოლა როგორც იყო ვერდენის, მარნის და გალიციის ბრძოლები, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ იმ 400 ათასიდან ერთი კაცი აღარ გადარჩება.

თანამედროვე ომმა, როგორც თავში ვთქვით მრავალი, აზრი შესცვალა და სულ ახალი მცნებანი განამტკიცა. განსაკუთრებით კი ერთი რამაა ცხადი: სახელდობრ ის, რომ ბოლოს და ბოლოს საკმარისი არ არის ყავდეს ბევრი ჯარი და ჰქონდეს მრავალი სამხედრო მასალა; ამათ საზრისიანი მოხმარება უნდა.

მოკავშირეებს ახალი ძალა კი არ სჭირიათ, არამედ ომისა და შინაურ ცხოვრების ორგანიზაციის გაუმჯობესება.

განა ეს ცხადი არ არის რუმინიის გამოსვლის შემდეგ?! რუმინია საბერძნეთზე გაცილებით ძლიერია, მაგრამ საყურადღებო დღემდე ვერა გააკეთა რა. საბერძნეთი ტყუილად გაწყდება წელში და მოკავშირეებსაც ვერას შემატებს.

ბულგარეთი, რომელმაც მართლა დიდი სამსახური გაუწია გერმანიას, ავსტრია-ოსმალეთის შემაერთებელია და, თუ რამე მნიშვნელობა ჰქონდა ბულგარეთის გამოსვლას ამ მხრით ჰქონდა და მის ჯარსაც ამიტომ ეძლევოდა მეტი მნიშვნელობა. საბერძნეთი კი ამ მდგომარეობაში არ არის და მისი გამოსვლის ფასიც ნაკლებია.

მეფე კონსტანტინე არ არის ბრმა გერმანოფილი; უნდა დარწმუნებული ვიყვეთ, რომ მას თვისი ხალხის ბედი უფრო აინტერესებს ვიდრე ვილჰელმის პიროვნება (კონსტანტინე ბალკანეთის ორივე ომის გმირია, ხალხში დიდი ნდობა აქვს მოპოვებული და, თუ ხალხმა დღემდე გული არ განუგმირა მას, ეს მეფის სახელითვეა და მის გავლენით აიხსნება). მეფე კონსტანტინეს ვერ დავსწამებთ მოღალატეობას. მხოლოდ მეფისა და ხალხის ერთი ნაწილის გათიშვა აიხსნება უფრო იმით, რომ საერთოდ პატარა ერებს ხშირად უყვართ გულხვიადობა და დიდი ოცნებით ხელმძღვანელობა.

ვენიზელოსის მომხრეებმა გამოაცხადეს: „ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ხალხის უფლების და კაცობრიობის წარმატების შემბორკველ გერმანეთ-ბულგარეთთანო“; მაგრამ ამავე დროს ხალხს ავიწყდება, რომ ბევრიც რომ მტარვალები იყვნენ გერმანელები, ისინი ვერაფერს გააკეთებენ და ეს საქმე მოკავშირეებს ლნდა მიანდონ, რადგანაც მათ მეტი ძალები აქვთ და მეტი იმედიც გამარჯვებისა.

ყველა ეს მშვენივრად ჰქონია გათვალისწინებული მეფე კონსტანტინეს და ბრთხილობს, უფრთხილდება ქორფა საბერძნეთს და მამაშვილურად არიგებს ჯარს (იხ. მისი მიმართვა ახლად ჯარში გაწვეულებისადმი), რადგანაც ესმის გამაწრთობელ მხედარს და შორს მჭვრეტელ მეფეს, რომ, თუ საბერძნეთი ომში ჩაერია, განადგურდება და გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც თავს შეაძულებს; მოკავშირეებს—იმიტომ რომ საბერძნეთი მათ მოქმედებას ვერ დაამჩნევს კვალს და გერმანიას—იმიტომ რომ მის წინააღმდეგ გაილაშქრა; ორივეს მიერ იძულებული საბერძნეთი კი საზავო კონფერენციაზე საბოლოოდ იქნება განადგურებული, როგორც უქმი და ორპოფი.

[illegible]

ღია ბარათი.

ქართველ ფარმაცევტებს.

ამ უკანასკნელი ოთხი—ხუთი წლის განმავლობაში ქართველმა ფარმაცევტებმა რამდენჯერმე მოინდომეს სააქციონერო საამთიაქო საზოგადოების დაარსება სხვადასხვა წამლეულების დასამზადებლად, იმ მიზნით, რომ ეს დარგი წარმოებისა ქართველებსაც ჰქონოდათ, რადგან მომხმარებელთა უმეტესობა ქართველი მეაფთიაქენი არიან.

ამ უმაგალითო ომმა ასეთი წარმოების დაარსების საჭიროება ცხადად დაანახვა ქართველ ფარმაცევტებს და წრეულს ამ საკითხის პრაკტიკულად განხორციელებას შეუდგენ.

ამ მიზნით 11 ეკენისთვეს ქუთაისშიაც მოწვეულ იქმნა სათათბირო კრება ქუთაისელ ფარმაცევტებისა, რომ გამოერკვიათ თუ რამდენად საჭირო და სასურველი არის ასეთი სააქციონერო საზოგადოების დაარსება.

კრების მუშაობას უშედეგოთ არ ჩაუვლია. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამოირჩიეს კომისია 6 კაცისაგან შემდგარი და დაავალეს მათ, შემდეგი კრებისათვის წარმოადგინონ წესდების სასურველი პროექტი ასეთი საზოგადოების დასაარსებლად.

საზოგადოება არსდება შემდეგი სახელწოდებით; ქართველ საზოგადოების სააქციონერო საამთიაქო საწყობი ქ. ქუთაისში, რომლის წევრებათ შეიძლება იყოს ყველა ქართველი, თუ შეიძენს 100 მან. ღირებულ აქციას.

საზოგადოების მიზანია:

საამთიაქო წამლეულობის და საპირფარეშო ქარხნების მოწყობა, ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის დაარსება და საამთიაქო საქონლით აღებ-მიცემობა. ამ მიზნის მისაღწევად დიმაარსებელნი საჭიროდ სთვლიან, პირველ ხანში, იქონიონ ნახევარი მილიონიანი თანხა და შემდეგ შეეცადნენ საჭიროებისამებრ თანხის გადიდებას.

არჩეული კომისია უკვე შეუდგა საჭირო მასალების შეგროვებას წესდების შესამუშავებლად და სხვა საკითხების გამორკვევას და ამ ცოტა ხანში კიდეც წარუდგენს კრებას საფუძვლიან მოხსენებას.

წესდების პროექტი მოკლე განმარტებასთან ერთად დაეგზავნება ყველა ქართველ ფარმაცევტს, რომ ამ საქმის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვან და დამფუძნებელი კრების მოწვევის დროს უფრო მომზადებული იყვნენ.

ამგვარად, ამ საწარმოვო დარგში ქართველ ფარმაცევტებს ასეთი სააქციონერო დაწესებულებით შეკავშირების საშუალება გვეძლევა, რომელიც განავითარებს ჩვენში (ფარმაცევტებში) ნაციონალური სიმდიდრის მოვლა-პატრონობის სურვილს და საზოგადოების თვალში მეტი ნდობის ღირსი ვიქნებით.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საზოგადოება ქართველ ფარმაცევტებს გაათავისუფლებს „კავკასიის საზოგადოების“ ბატონობისაგან და აგრეთვე იქნება ჩვენი აღებ-მიცემობის ღირსების მაჩვენებელიც.

ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა ქართველმა ფარმაცევტმა ამ უკვე დაწყებულ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და ყოველი ღონე იღონოს, რომ ეს საზოგადოება დაარსდეს, რაც შეიძლება მკვიდრ ნიადაგზე რომ შევძლოთ არსებულ სააქციონერო საზოგადოებათა გამკლავება და ცხად ვყოთ, ქართველთა აღებ მიცემობის ნიჭი.

სასურველია, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე, რომლის შესახებ თავის დროზე იქნება გაზეთებში განცხადება, რაც შეიძლება მეტი ფარმაცევტი გამოცხადდეს.

საქმე უკვე დაიწყო! და მის განხორციელებას საძირკველი ჩაეყარა და ახლო მომავალში ქართველ ფარმაცევტებს დიდი საქმის მაწარმოებლად დავინახავთ.

ფარმაცევტი ვასო ჭითავა.

P. S. ამ საქმის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება არჩეულ კომისიისაგან, შემდეგის მისამართით:

ქ. ქუთაისი, პირველ ან მეორე აფთიაქის მართველთ.

ვ. ჭ.

პროვინციის ცხოვრება

უხუთის საზოგადოება. (ქუთაისის მაზრა) უკვე მეხუთე წელია, რაც ამ საზოგადოებაში არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა, მაგრამ იგი დღესაც არ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული: ვერ ელირსა და ამ ხუთი წლის განმავლობაში ვერ იშოვა ისეთი კაცი, რომელიც მთელი თავისი ენერგიით შესდგომოდა ამ დაწესებულების აღორძინებას; თუ ვინმე აღმოჩნდა, ჯგუფური ქინით გაქდენთილი ზოგიერთ პირების წყალობით კინწის კვრით გაუმასპინძლდებიანხოლმე. ამნაირად, ამხანაგობა ერთმანეთის სალანძღავ-საჯიჯგნელათ არის გადაქცეული.

ამ ბოლო დროს საბჭოს თავმჯდომარის პარმენ როხვაძის თაოსნობით ამხანაგობაში შემოვიდა ორმოცი კაცის ხელმოწერილი განცხადება გამგეობის ბოროტ მოქმედებაზე. დაუყონებლივ მოწვეულ იქმნა საზოგადო კრება, რომელმაც ანგარიშის გამოსარკვევად აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია.

რადგან ანგარიშის სისწორით გაგება დროს მოითხოვდა, კომისიის თხოვნით კრება გადაიდო რამოდენიმე ხნით. ამით ისარგებლა რა გამგეობამ, თავისი ნდობის გასამტკიცებლადა და შერყეული მდგომარეობის გასამაგრებლად, მოიწვია ამხანაგობის მზრუნველი და ნაცვლად კრებისაგან არჩეული კომისიისა, მას მიანდო ანგარიშის გამორკვევა. უეჭველია, ბ. მზრუნველი სწორ გზას დაადგებოდა და კიდევაც გააცნო კრებას საქმის გარემოება, მაგრამ ამით არ შეიძლება მსჯავრი დავდვათ გამგეობის მოქმედებას, რადგან ამხანაგობას არ მოუსმენია მოხსენება მის მიერ არჩეული სარევიზიო კომისიისა. დასასრულ მიაღწია რა მიზანს გამგეობამ, მოსთხოვა კრებას საბჭოს თავმჯდომარის, როგორც მისი გამკრიტიკებელის და მოქმედების გამომქღავნებელის, პარმენ როხვაძის სამსახურიდან გაძევება, რომელიც, დიდი ალიაქოთის შემდეგ, ზოგიერთთა წყალობით და გამგეობის ზედგავლენით სრულებით უდანაშაულოთ გამოასალმეს ამხანაგობას. სამწუხაროთ ამ გარემოებამ ერთიათად გაზარდა ამხანაგობაში დღემდის არსებული მტრობა, შური და ამხანაგობა, რაც, ცხადია, ხელს უშლის ამხანაგობის წარმატებას. სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინება და მათი ძირიანად აღმოფხვრა, მისგან გამოწვეული ზარალის თავიდგან ასაშორებლად, უპირველეს მიზნად უნდა გაიხადოს ყოველმა ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა ამხანაგმა. აგრეთვე სასურველია, გამგეობა არ განაგრძობდეს ამგვარ ,,საგმირო'' საქმეებს და უფრო პირნათლად ემსახურებოდეს ამ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო დაწესებულებას.

ხე—კაკუნა.

რუსეთი.

ეხლახან შინაგან საქმეთა სამინისტრო სხვადა სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ერთად პურზე „მკვიდრი ფასი“ დააწესა, მაგრამ ბევრ ალაგას ნიხრს არ ემორჩილებიან და ისევ ძვირადა ჰყიდიან.

——

მეტისმეტად კარგი მოსავალი ყოფილა პირნახულის წლეულს აღმოსავლეთ ციმბირში.

——

ეს რამდენიმე ხანია საზღვაო სამინისტრო იმის ცდაშია, როგორმე მოაწესრიგოს ჩრდილოეთ ოკეანეში გემების მიმოსვლა.

——

რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში სტუდენტები დიდ გაჭირვებას განიცდიან ბინის უქონლობის გამო და ამ მხრით, განსაკუთრებით სავალალოა ქართველი სტუდენტების მდგომარეობა;

——

ნოვოჩერკასკში გაიხსნა ახალი ქალთა უმაღლესი კურსები-

——

პროტოპოპოვი იმ აზრისაა, რომ სასურსათო საქმის გამოსასწორებლად დიდი შრომაა საჭირო და ამიტომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიმართა დახმარებისათვის.

——

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე მაკლაკოვს ასახელებენ.

——

გრაფი ბობრინსკი მეფის ბანკში გაემგზავრა. ამას დიდ მნიშვნელობას აძლევენ

——

ხვოსტოვის თანამდებობიდან გადადგომა შტიურმერთან უთანხმოების გამო მომხდარა, ხვოსტოვი სათათბიროს ახალი არჩევნების წინააღმდეგი ყოფილა. შტიურმერს უთქვამს ახალი არჩევნები ხალხს გაამხნევებს და მამულიშვილურ გრძნობას გაუორკეცებსო.

——

შინაგან საქმეთა სამინისტროში ბეჭვდითი საქმის ახალი პრექტის განხილვა შეუჩერებიათ, პროტოპოპოვს საჭიროდ უცვნია რომ, ეს პროექტი რედაქტორების თანადასწრებით იქნეს განხილული.

——

პროტოპოპოვს პეტროგრადში გაუწვევია პოხვისნევი და ანციფეროვი, რათა გაეცნოს მათ და საჭირო ინსტრუქციები მისცეს მათ.

——

ფინანსთა სამინისტროს დაუდგენია თავის სახელმწიფო სტიპენდიანტებს დახმარება 25°/° გაუდიდოს, რადგანაც ცხოვრება მეტის მეტად გაძვირდა.

——

პროტოპოპოვს ჟურნალისტებისათვის გან უცხადებია თქვენ კარგად იცით ჩემი კეთილი განწყობილება საზოგადოებრივ საქმიანობისადმი და კერძოდ ბეჭვდით სიტყვის ორგანოების მფარველობა. განსაჯეთ ჩემი მოქმედება ხოლმე, მხოლოდ გთხოვთ თქვენისჯა მიუდგომელი იყოს, რათა ჩვენ ერთმანეთსა გვესმას და რათა მთელი რუსეთის საკეთილდღეოდ ვიშრომოთ

——

პროტოპოპოვი ჟურნალისტებს დაპირდა ახლო მომავალში ჩემ პროგრამას წინასწარ გაგაცნობთო.

——

მინისტრებთან საუბრის გაზეთებში დასტამბვა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, მხოლოდ მოსაუბრე მინისტრის წერილობითი ნებართვით შეიძლება.

——

იაპონიის პრინცმა კან—ინმა რუსეთში განსაკუთრებულ მიზნით მოგზაურობა დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა.

——

თანახმად სწავლა განათლების მინისტრის ცირკულიარისა უმაღლეს სასწავლებელ გათავებულთ არ მიიღებენ იმ უნივერსიტეტში, რომელიც ჯარში გაწვევისაგან ანთავისუფლებს; არ მიიღებენ აგრეთვე ხსენებულ უნივერსიტეტების სხვა ფაკულტეტებიდან გადმოსულებს.

უცხოეთი.

ოსმალეთში ყველგან დახურეს „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის კლუბები; ამბობენ, ხსენებულ კომიტეტს დაუდგენია, იქადაგოს სეპარატიულ ზავის ჩამოგდებაზეო.

——

გერმანიის ერთ ქალაქში რეგენსბურგში ზავის მომხრეებს დიდი მიტინგი გაუმართავთ.

——

შეერთებულ შტატების პრეზიდენტის სოციალისტების მიერ კანდიდატათ წამოყენებული ბენსონი თავის მოწოდებაში სამხედრო კრედიტების მოწინაამდეგედ გამოდის და ამბობს ეს გერმანიის მილიტარიზმის გავლენით ხდებაო.

——

გერმანიის სოციალ-დემოკრატების ორგანო „დი გლოკკ“ საჭიროდ სცნობს რუსის ხალხთან დაახლოვებას.

——

გერმანიიდან დანიაში დახურულ წერილების გზავნა გერმანიის მთავრობამ აღკრძალა.

——

ცნობილი რუსეთის მცოდნე აკსელ შმიდტი თავის ახლად გამოსულ წიგნში სხვათა შორის ამბობს: მეათე საუკუნიდან დაწყებული რუსეთი ბოსფორ დარდანელის ხელში ჩაგდებას ცდილობს; თუ რუსეთს აზრადა აქვს ამ გზით აზიასა და ევროპაში გაბატონება, ჩვენ მოვალენი ვართ წინ აღვუდგეთ მათ და არ დავუშვათ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა.

ჩემი პასუხი

კულაშის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნ კ—ძეს.

„სამშობლოს“ ის ნომერი, რომელშიაც თქვენი პასუხია მოთავსებული ჩემი წერილის წინააღმდეგ, სოფელში არ მიმიღია, დაიკარგა, მხოლოდ ამ დღეებში ქუთაისში გავიგე სხვებიდან, რომ თქვენ პასუხი დაგიწერიათ „სამშობლოს“ 414 ნომერში, რომელიც მოვძებნე და წავიკითხე.

თქვენ ამბობთ: „როდესაც ურთი-ერთ შორის სოლიდარობა ხელიდან გამოგვეცლება, მაშინ... ვაი, ჩვენო დღევ!“ მართლაც სატირალი და სავალალოა ასეთი მოვლენა, მაგრამ, მიკვირს, თქვენ რა გატირებსთ!? იმის ხომ არა სტირით, რომ თქვენი ოცნება—სრული მბრძანებელი იყოთ და სხვები კი თქვენი ყურმოჭრილი მონა, არ აგისრულდათ. თქვენი სოლიდარობა ხომ ამაში იხატებოდა და იხატება!

ნათქვამია „ქურდი მთხრობელს მიხვდებაო“, და რა გასაკვირველია, რომ მიხვდით,—ვინ უფრო დაწვრილებით იცის თქვენი ავი და კარგი. ისიც კარგად გაგებული გაქვსთ, რომ თქვენი ფოკუსების წყალობით ერთი მასწავლებელი იძულებული შეიქნა საჩივარი შეეტანა თქვენს უმართლო მოქმედებაზე, საქციელზე, რაიცა თქვენ „დანოსათ“ მოგინათლავსთ.

ერთი მიბრძანეთ, როდესაც ზედამხედველი უწესობას ჩადის, ურიგოდ იქცევა და მასწავლებლები ვერასფერი ღონისძიებით ვერ შეასმენენ მას მთელი ათი თვის განმავლობაში, მაშინ რა საშუალება დარჩენია მასწავლებელს, თუ არა საჩივარი თავის უფროსთან? ამ ნაირი საჩივარი, რომელსაც „მომჩივანი არავის არ უმალავს, ხომ ჩურჩულით ბეზღება არ არის

იმის მაგიერ, რომ პასუხი გეგოთ ჩემ მაგიერ გაზეთში წამოყენებულ ბრალდებაზე, გაწიწმატებულხართ და ერთი მასწავლებლის საჩივარს მივარდნილხართ „სოლიდარობა“ დამირღვიაო და პირდებით პატივცემულ მკითხველთ, მაწოდოთ რედაქციას იმ „დანოსის“ პირი და გააცნოთ მისი შინაარსი. თქვენ ნუ შესწუხდებით, ბ. ზედამხედველო, მე კარგად ვიცი მისი შინაარსი და რადგან თქვენც გონებიათ, მე თვითონ გავაცნობ პატივცემულ მკითხველებს შინაარსს. ეს „დანოსი“ სულ ოთხი მუხლია: 1) კულაშის ნორმ. სასწავლებელში სამი უფროსი განყოფილების მოსწავლეები სწავლობდენ გიმნაზიის წარსული წლის ენკენისთვემდის, შემდეგ ამისა კი ბ. ნ. კ—ძის წყალობით მოსპობილ იქმნა; ამ გიმნაზიისათვის გადადებულ ფულს კი ბ. ზედამხედველი თავის ჯიბისაკენ აგზავნის; 2) სასწავლებელში უნდა ხდებოდეს თავ-თავის დროზე მასწავლებლების ბჭობა, რჩევა (УЧИЛИЩНЫЙ СОВѢТЪ) ეს „სოვეტი“ კი არასოდეს არ ხდება, განაჩენებს კი ცალ-ცალკე აწერინებენ ხელს მასწავლებლებს, (ასე ალბად იმიტომ ხდება რომ მასწავლებელთა შორის „სოლიდარობა“ არ დაირღვეს არა?)

3) ამ წელში „სმეტის“ ძალით გადადებულია ფული სკოლის დგამების შესაკეთებლად, გატეხილი ფანჯრების ჩასასმელათ და სკოლის სხვა საჭიროებისათვის, მაგრამ არაფერი არ კეთდება, ქარისაგან გატეხილი ფანჯრის შუშები ღარიბი ბავშვების საშუალებით მთელდება და 4) ამ სასწავლებლის დაარსებიდან წესად იყო მიღებული—შობის, აღდგომის და განიკულების წინ მოსწავლეთ მიეცემოდათ ხოლმე მოწმობები, რომელშიაც აღინიშნებოდა მათი ყოფაქცევა და სწავლა.

ბ. ნ. კ—ძემ სამობათ, როდესაც მასწავლებლებმა ჩვეულებისამებრ სთხოვეს—გვიბოძეთ ბლანკებიო, რაიცა მის წინა მოადგილეს საკმაოდა ჰქონდა დატოვებული, უპასუხა:—გადაეცით ბავშვებს, რომ სააღდგომოთ მიცემთქო სააღდგომოთ რომ მოსთხოვეს, მაშინაც ასე უპასუხა: გადაეცით ბავშვებს ეგზამენების შემდეგ, განიკულების წინ,მოგცემთქო. როდესაც ეგზამენების შემდეგ მოსთხოვეს, მაშინ კი უფროსის კილოთი ბრძანა:—რა მოწმობები, რის მოწმობები, გამოუცხადეთ ვინ არის გადასული, ვინ არა და წავიდენ სახლშიო.

შეიძლება, ბ. ნ. კ—ძეს არად მიაჩნდეს მოსწავლეების წინ ტყუილების თქმა, მაგრამ პატივცემული მკითხველი კარგად მიხვდება, როგორი მორალური მნიშვნელობა აქვს ამას მოსწავლეებზე და რა მდგომარეობას განიცდის მასწავლებელი, როდესაც მოსწავლეები ეუბნებიან მას: „მაშ რაღად გვატყუებთო? აი ეს გახლავსთ მთელი „დანოსი“ ამ მასწავლებლისა რომელიც სთხოვს ბ. ინსპექტორს, აღდგენილ იქმნეს ეს სამართლიანი წესები. და რამდენად სამართლიანია ეს თხოვნა მოთმინებიდან გამოსული მასწავლებლისა, ეს მკითხველმა გასაჯოს. და თუ რამე, თუნდა სულ მცირე, ამ ბრალდებაში გადამეტებულია, ის ამ სკოლის მასწავლებლებმა ამხილონ.

ბ. ნ. კ—ძე გვერდს უვლის ყველა ბრალდებას და მხოლოდ „დანოსის“ მეორე მუხლიდან ამოუღია ერთი აზრი, გადასხვაფერებაა კიდეც.—„მასწავლებლები თუ განაჩენებზე ხელს ვაწერდით, ზედამხედველი გვატანდა ძალასაო“.

ძალის დატანება არც „დანოსში“ და არც გაზეთის ფურცლებზე არ ყოფილა ნათქვამი. რადგანაც ბატონი ზედამხედველი „დანოსის“ ერთ მუხლს შეეხო, რატომ სხვა მუხლების წინააღმდეგაც არაფერს ბრძანებს?

დანოსისათვის რომ თავი დაენებებია და იმ ბრალდებაზე ეგო პასუხი, რომელიც გაზეთის ფურცლებზე იყო უკეთესი იქნებოდა. მაგრამ ან კი რა პასუხი უნდა ეგო, გიმნაზიკას მე ვასწავლიდიო, ამას ხომ ვერ იტყოდა, ეს ნამეტანი იქნებოდა და ისევ მოჭკიდებია იმ კითხვას, რომელიც უფრო ადვილად მოსაშორებელი ჰგონებია თავიდან და ამბობს, თუ მე ყოვლად შემძლებელი ვარ, კიდევაც დაგითხოვთო, მაგრამ გულკეთილი ვყოფილვარ, რომ არავინ დავითხოვეო, შემდეგი სიტყვებით: „როდის იყო ჩემს თექვსმეტი წლის ზედამხედველობაში რომელიმე მასწავლებელი გაეძევა სკოლიდან, ერთი მაინც დამისახელეთ“.

ამას მეც დავუჯერებ. ბ. ნ. კ—ძე არავის არ დაითხოვდა; თუ დაითხოვდენ ვისმე, მხოლოდ მაზე უფროსები და ბ. ნ. კ—ძე კი შემდეგ თანაგრძნობას გამოუცხადებდა დათხოვნილს. აბა ერთი მიბრძანეთ, ბ. ზედამხედველო! რომელ „სმოტრიტელს“ შეუძლია სთქვას, თქვენს გარდა, რომ ის გააძევებს მასწავლებელს. რაიცა შეეხება იმას, ვითომც თქვენი მასწავლებელნი დარწმუნებული იყონ თქვენს ამისთანა უფლებაში, მე მგონია, თქვენც არ უნდა წარმოგედგინათ ეს. ისეთი უვიცი არც ერთი მასწავლებელი არ მეგულება, რომ თქვენზე ამ აზრის იყოს; თუნდაც რომ ყოფილიყო. ორი გარემოების შემდეგ მაინც გამოიცვლიდა თქვენზე აზრს: 1) თქვენი ოცნება იყო და ხშირად აღიარებდით,—იმისთანა მასწავლებელი უნდა დაგვეყენა პირველ განყოფილებაში, რომელსაც ქართული ენის ანბანიც არ ესმოდესო და 2) ერთ პირველ განყოფილების მასწავლებელს უბრძანეთ ერთხელ ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ,—არიქა, ახლავე თხოვნა გაუგზავნე ინსპექტორს, სადმე გადაგიყვანოს, თორემ გადაწყვეტილია, სულ უადგილოდ დაგითხოვენ, ან და უადგილო ადგილას გადაგგდებენო. თუ ამ თხოვნას [illegible] დაგეხმარები, კაი ადგილზე [illegible] ამაზე რომ უარი გითხრა, [illegible] კი შეუჩინე, როგორმე დაგენთხმებია. ამითაც რომ ვეღარა გააწყვეთ რა, მაშინ დაბეჭდილი კანვერტი აჩვენე და უთხარი:-აი, ამ ქაღალდს ვგზავნი ახლა საჩქაროთ და ვთხოვ, აქავე დაგტოვონო. ასე ვერც ერთი თქვენი წადილი ვერ შეასრულეთ.

მასწავლებელი.

(დასასრული ხვალ).

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხ. „**სამშობლო**“

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 25 წ.
„	— საღამ. —	8 ს. 50 „
ბათომიდან	— დღისით -	12 ს. 40 „
„	— ღამის —	2 ს. 20 „
ფოთიდან	— დილის -	10 ს. 26 „
ტყიბულიდან	—საღამოს —	7 ს. 00 „
შორაპნიდან	— დილის —	9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	—დილის —	11 ს. — „
„	— ღამის —	12 ს. 15 „
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 3 „
„	— დილის —	5 ს. 55 „
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს. „
ტყიბულისკენ	— დილის —	8 ს. 13 „
შორაპნისაკენ	—დღით —	5 ს. 18 „

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს.ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

ავი სენი.

უოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშიფის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)

სწრაფთლომბეჭდავი სტამბა ალ. კობრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან